

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლის შედეგები

პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა აითვისოს 60 კრედიტი (ECTS): 12 სავალდებულო სასწავლო კურსი (თითოეულის მოცულობა 5 კრედიტი (ECTS)). სავალდებულო სასწავლო კომპონენტიდან პირველსა და მეორე სემესტრში სასკოლო პრაქტიკისათვის გამოყოფილია 5-5 კრედიტი - ჯამში 10 კრედიტი. სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ორი ეთმობა ინგლისური ენის ან მათემატიკის სწავლების მეთოდებს - შესაბამისად თითოეული საგნის სწავლების სპეციფიკას ეთმობა 10 კრედიტი.

სასწავლო კურსები

კურსის დასახელება	კრედიტი	სასწავლო კურსის მიზანი
I სემესტრი		
1. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და შეფასება	5	სასწავლო კურსის მიზანია ინგლისური ენის სწავლების მეთოდებში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებზე ცოდნის გამყარება. კურსი ითვალისწინებს სტუდენტების მომზადებას კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდისათვის. მისი წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, სტუდენტებს საშუალება ექნებათ ჩააბარონ Teaching Knowledge Test (TKT) , კემბრიჯის გამოცდა მასწავლებლებისთვის. კურსის ფორმატის გათვალისწინებით, ისინი შეძლებენ ორი მოდულის შესწავლას: მოდული 2- გაკვეთილების დაგეგმვა და სასწავლო რესურსების შემუშავება; მოდული 3 - სწავლებისა და სწავლის პროცესების მართვა.
2. ზოგადი დიდაქტიკა	5	კურსის მიზანია, მოვამზადოთ სტუდენტები სკოლის მასწავლებლის საქმიანობისთვის. გარდა ამისა, ისინი შეიძენენ თეორიულ ცოდნას, რომელიც აუცილებელია პედაგოგიური / მეთოდური კვლევისათვის.
3. სწავლების პრინციპები და მეთოდები	5	კურსი მიზნად ისახავს თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და პრინციპების შესახებ ცოდნის გაღრმავებას. ისინი გაეცნობიან პროფესიულ ლიტერატურას, რათა შეისწავლონ სწავლების პრაქტიკული უნარ-ჩვევები. კურსი გამოიყენებს „თეორიაზე დაფუძნებულ პრაქტიკულ მიდგომას“, რათა სტუდენტები აღჭურვოს სწავლების პრინციპებისა და მეთოდების შესახებ სათანადო ცოდნით, რომ მათ შეძლონ მიღებული ცოდნის გამოყენება პრაქტიკულ მუშაობაში, პრეზენტაციებში, კონფერენციებსა და სხვა დარგობრივ საქმიანობაში. კურსის გავლისას სტუდენტები ასევე დაეუფლებიან პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას, რაც აუცილებელია მომავალი მასწავლებლებისათვის, რათა მათ ეფექტურად და პროდუქტიულად

		წარმართონ არა მარტო ცოდნაზე, არამედ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე ორიენტირებული სწავლების პროცესი.
4. ინგლისური ენის სწავლების დიდაქტიკა I/მათემატიკის სწავლების დიდაქტიკა I	5	<p>სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ენობრივი კონცეფციები, ენის სწავლებისა და სწავლის ტიპები, მუშაობის ფორმები უცხო ენის სწავლებისას, შეფასებისა და ტესტირების მეთოდები, თეორიები უცხოური ენის სწავლებაში. კურსი დაეხმარება სტუდენტებს განასხვავონ ენის სწავლების თეორიები და სწორად გამოიყენონ ისინი სწავლების პროცესში. სტუდენტები აგრეთვე გაეცნობიან ინგლისური ენის სწავლებაში არებულ სიახლეებს. კურსში განხილული პრაქტიკული სასწავლო იდეები სრულად დაეხმარება მათ დაეუფლონ თანამედროვე მეთოდოლოგიურ პრაქტიკას.</p> <p>მათემატიკის სწავლების დიდაქტიკა ემსახურება რამოდენიმე მიზანს: გააცნოს სტუდენტს მათემატიკის რაობა და თუ რატომ ისწავლება იგი სკოლაში, გააცნობიეროს თუ რა მიმართებაა მათემატიკის სასწავლო გეგმის სტანდარტებს, სასწავლო მათემატიკური საკითხების შერჩევასა და მათი სწავლების თანმიმდევრობას შორის. კურსი დაეხმარება სტუდენტს გაკვეთილების დაგეგმვასა და ადაპტირებაში, იმის უკეთ გააზრებაში, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე მათემატიკას, დაეხმაროს მას მათემატიკის გააზრებულ სწავლაში და მისი ნასწავლის</p>
5. სასკოლო პრაქტიკა I	5	<p>კურსის მთავარი მიზანია სტუდენტს მისცეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოიყენებისა შესაძლებლობა სწავლების პროცესზე პასიური დაკვირვების გზით და მიიღოს გამოცდილება სასწავლო პროცესისა და მისი ადმინისტრირების თვალსაზრისით. პასიური პრაქტიკის (დაკვირვების) დროს პრაქტიკანტები გაეცნობიან სკოლის სტრუქტურას, მასწავლებლის როლს კლასში და კლასის მიღმა. ყოველივე ეს წარმართება უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი პრაქტიკის ხელმძღვანელისა და სკოლის მიერ გამოყოფილი მენტორ-მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. ამდენად, პრაქტიკის მეშვეობით მიღებული ცოდნა და გამოცდილება სათანადო საფუძველს მოამზადებს მათი მომავალი პროფესიისათვის. პრაქტიკანტები აწარმოებენ ჟურნალებს (წერენ ანგარიშებს) სადაც აისახება კლასის დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება. ამ ანგარიშებში ასახულ ინფორმაციას სტუდენტები გამოიყენებენ</p>

		პრაქტიკის მეორე ეტაპისათვის (აქტიური პრაქტიკა) მოსამზადებლად.
6. განათლების ფსიქოლოგიის შესავალი	5	კურსის მიზანია, სტუდენტებს მიაწოდოს შესაბამისი ცოდნა, რომელიც მათი როგორც სპეციალისტების მოღვაწეობას გახდის სწავლისადმი თანამედროვე მიდგომებით აღჭურვილს. აუცილებელია, რომ მასწავლებლებმა და მკვლევარებმა გაათვითცნობიერონ განათლების ფსიქოლოგიის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორცაა შემეცნების ფსიქოლოგიური ბუნება, ადამიანის ინტელექტუალური, ზნეობრივი, ემოციური და სოციალური განვითარება, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური ფსიქოლოგია და ა.შ.
II სემესტრი		
7. განათლების ტექნოლოგიები და სასწავლო მასალების შემუშავება	5	კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს გააცნოს განსხვავებული მიდგომები, მეთოდები და პროცედურები, რაც აუცილებელია კომპიუტერისა და სხვა ტექნოლოგიური საშუალებების კურიკულუმში ინტეგრირებისათვის. სასწავლო კურსი ითვალისწინებს იმ საბაზისო ცოდნის მიწოდებას, რაც აუცილებელია 21-ე საუკუნის განათლების სპეციალისტისათვის: სწავლა-სწავლებისა და ტექნოლოგიების გამოყენების საფუძვლების ცოდნა, რათა ტექნოლოგიები აქტიურად იყოს გამოყენებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და უშუალოდ სწავლების პროცესში, ისე რომ ტექნოლოგიები გამოყენებული იყოს ფუნქციურად. კურსი ასევე მიზნად ისახავს, გააცნოს სტუდენტებს, თუ როგორ გამოიყენონ ტექნოლოგიები არა მხოლოდ დაგეგმვისა და სწავლების პროცესში, არამედ სტუდენტების შეფასების კუთხით.
8. გაკვეთილის ორგანიზება	5	კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს გაულრმავოს ცოდნა შემდეგ ასპექტებში - საკლასო გარემო, სასწავლო პოლიტიკა, სასწავლო პროცესი და მისი შემადგენელი ასპექტები. კურსის გავლის შედეგად სტუდენტები გაეცნობიან პროფესიულ ლიტერატურას, რათა სიღრმისეულად გაეცნონ სასწავლო პროცესის გაძღოლისა და მართვის პრაქტიკას. კურსის მსვლელობისას გამოყენებული იქნება „თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების“ მიდგომა, რისი მეშვეობითაც სტუდენტები შეიქმნიან სათანადო თეორიულ საფუძველს სასწავლო პროცესის მართვის კუთხით და შეძლებენ მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკულ მუშაობაში, პრეზენტაციებში, საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარებისას და ა.შ. კურსის მიზანია სტუდენტები აღჭურვოს სათანადო უნარ-ჩვევებით,

		რომლებიც აუცილებელია მომავალი მასწავლებლებისათვის.
9. სპეციალური განათლება და ფსიქოლოგიური დახმარება სკოლაში	5	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა ფსიქოლოგიური კონსულტირების მიზნების და მნიშვნელობის შესახებ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სწავლების, სწავლისა და ქცევის მართვის ეფექტური სტრატეგიების შესახებ. ისინი აგრეთვე გაეცნობიან განათლების სფეროში სპეციალური განათლების პრაქტიკული სირთულეების გადაჭრის აუცილებლობას, ფსიქოლოგიური კონსულტაციის ძირითად თეორიებს - ჰუმანისტური, რაციონალურ-ემოციური და კოგნიტური, კონსულტანტის როლის და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნას. სტუდენტები გაეცნობიან პიროვნულ, პროფესიულ, იურიდიულ და ეთიკურ მოვალეობებს.
10. ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები, სტრუქტურა და სკოლის მენეჯმენტი	5	კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებმა გაიღრმავონ ცოდნა სკოლის მინეჯმენტის თანამედროვე მიმართულებების შესახებ. ისინი შეისწავლიან როგორც საქართველოს ზოგადი განათლების კანონმდებლობას, ასევე თანამედროვე ზოგადი განათლების კანონმდებლობის ზოგად პრინციპებსა და ასპექტებს. შესაბამისად, განათლების სფეროში მიღებული ცოდნის შედეგად სტუდენტები გაეცნობიან სასკოლო გარემოში მიმდინარე ცვლილებებს, საგანმანათლებლო პოლიტიკას, პროცესებსა და სკოლის ყოველდღიური მართვის ნიუანსებს.
11. ინგლისური ენის სწავლების დიდაქტიკა II/მათემატიკის სწავლების დიდაქტიკა II	5	სასწავლო კურსის მიზანია გააღრმავოს სტუდენტების ცოდნა ინგლისური ენის თანამედროვე მეთოდოლოგიაში და მისცეს საშუალება უკვე პრაქტიკაში გამოიყენონ ენის სწავლების სხვადასხვა მიდგომები. სტუდენტები შეისწავლიან გაკვეთილის დაგეგმვის მნიშვნელოვან ასპექტებს და შეძლებენ მათ გამოყენებას ენობრივი უნარების სწავლებისას. კურსის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ექნებათ შეიმუშაონ სასწავლო აქტივობები და ისწავლონ სტუდენტების შეფასების სხვადასხვა მეთოდები. კურსის მთავარი მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს საფუძვლიანი ცოდნა მასწავლებლის პროფესიული განვითარების პერსპექტივებზე. მათემატიკის სწავლების დიდაქტიკის მიზანია სტუდენტებისთვის ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე რიცხვების, ალგებრის, ფუნქციების, უმაღლესი მათემატიკის ელემენტების, გეომეტრიის და ალბათობა-სტატისტიკის სწავლებასთან დაკავშირებული ცოდნის გაღრმავება/განვრცობა, სტუდენტების მიერ ზემოაღნიშნული საკითხების სწავლების

		სტრატეგიების დაუფლება, უკეთ გაცნობიერება იმისა, თუ რა სირთულეები და საჭიროებები წარმოექმნებათ მოსწავლეებს მათემატიკური ცნებებისა და პროცედურების ათვისების პროცესში. კურსი აგრეთვე დაეხმარება სტუდენტებს ისეთი სასწავლო აქტივობების შექმნასა და ანალიზის უნარჩვევების განვითარებაში, რომლებიც აუმჯობესებს ამოცანების ამოხსნის, მსჯელობისა და დამტკიცების პროცესებს მოსწავლეებში.
12. სასკოლო პრაქტიკა II	5	აქტიური პრაქტიკა (სწავლება) არის პასიური პრაქტიკის გაგრძელება. რაც შეეხება აქტიურ პრაქტიკას, პრაქტიკანტები ერთვებიან სწავლების პროცესში. ამ ეტაპზეც ისინი არიან მენტორ მასწავლებლისა და პრაქტიკის ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ. თუმცა, სტუდენტები თავად გეგმავენ და ატარებენ გაკვეთილებს. ეს კი სტუდენტებს საშუალებას აძლევს მოახდინონ უნივერსიტეტის სასწავლო კურსებიდან და პრაქტიკის პირველი ეტაპიდან მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სინთეზი რეალურ გამოცდილებასთან. ამ ტიპის გამოცდილებას კი ისინი გაკვეთილების ჩატარების პროცესში იღებენ.

სწავლის შედეგები

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს გამოუმუშავდებათ ქვემოთ მოყვანილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება	<ul style="list-style-type: none"> • ინგლისური ენის ცოდნა, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით (CEFR) შეესაბამება B2 დონეს • ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ამოცანების ცოდნა-გაცნობიერება • ზოგადი განათლების კანონმდებლობისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ცოდნა და გაცნობიერება • სწავლა-სწავლებისა და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და მათი კრიტიკულად გაცნობიერება • სკოლაში ინგლისური ენის/მათემატიკის სწავლების მიზნებისა და ამოცანების ცოდნა-გაცნობიერება • განსხვავებული გონებრივი შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა განათლების ძირითადი პრინციპების ცოდნა-გაცნობიერება • სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების ცოდნა-გაცნობიერება
------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

	<ul style="list-style-type: none"> • საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე (ინგლისური ენა/მათემატიკა) მოსწავლეთა სამართლიანად და ობიექტურად შეფასების მოდელებისა და სისტემების შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა • უსაფრთხო, სამართლიანი, ჯანსაღი და წამახალისებელი სასწავლო გარემოს შესაქმნელად აუცილებელი ცოდნა, რაც ეფუძნება საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლების, სტრუქტურისა და პედაგოგიური პრინციპების ცოდნასა და ადამიანური ღირებულებების პატივისცემას • განათლების სფეროსა და ინგლისური ენის/მათემატიკის სწავლების მეთოდური ტერმინოლოგიის ცოდნა და გაცნობიერება • ინგლისური ენის/მათემატიკის სწავლების მიზნებისა და ამოცანების ცოდნა-გაცნობიერება • ინგლისურ ენაზე წერილობით თუ ზეპირსიტყვიერად აზრის გადმოცემის სპეციფიკის ცოდნა, რომლის გამომუშავებაც ხელს უწყობს პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსები • კომპიუტერული პროგრამებისა (ინტერნეტი, Microsoft Word, PowerPoint პრეზენტაცია) და პლატფორმების ცოდნა, რაც აუცილებელია, როგორც სასწავლო პროცესში, ასევე პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლების პრაქტიკაში გამოსაყენებლად, რათა მასწავლებელმა მოახერხოს სტუდენტზე ორიენტირებული საინტერესო და ინტერაქტიული გაკვეთილების ჩატარება.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და სკოლის ადგილობრივი კონტექსტის შესაბამისად ეფექტურად დაგეგმვისა და წარმართვის უნარი • მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით (ინგლისური ენა/მათემატიკა) სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომის გამოყენების უნარი • სამართლიანი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნის უნარი • სპეციალურ მასწავლებლებთან თანამშრომლობით განსხვავებული ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნისა და სასწავლო პროცესის მართვის უნარი • მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნისა და სასწავლო პროცესის მართვის მიზნით სწავლისა და განვითარების თეორიების ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენების უნარი • ინდივიდუალური მოსწავლის საჭიროებების განსაზღვრისა და მათზე რეაგირების უნარი • მოსწავლეთა მოტივირების უნარი • მოსწავლეთა მოტივირებისა და მშობელთა საგანმანათლებლო-პედაგოგიურ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების გაზრდის მიზნით მოსწავლეებისა და მშობლებისათვის აუცილებელი პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი • ენობრივი კომპეტენცია, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით (CEFR) შეესაბამება B2 დონეს და გულისხმობს ზოგად თუ სპეციფიურ

	<p>კონტექსტში ინგლისური წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი ენის გამოყენების უნარს</p> <ul style="list-style-type: none"> • სტრუქტურულად გამართული წინადადებების მეშვეობით ინგლისურ ენაზე ლოგიკური ნარატივისა და დისკურსის ფორმირების უნარი • მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის აუცილებელი მეთოდოლოგიისა და მიდგომების შემუშავებისა და გაკვეთილზე გამოყენების უნარი • პროფესიული (განათლების სფეროს, ინგლისური ენის/მათემატიკის სწავლების მეთოდიკის) ტერმინოლოგიისა და ცნებების ვერბალურ დისკურსში, პრეზენტაციებსა და აკადემიურ კონტექსტში კომუნიკაციისას სათანადოდ გამოყენების უნარი
<p>დასკვნის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • საკუთარი პრაქტიკის კვლევის, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიების ჩამოყალიბების უნარი • პროფესიული კონტექსტისა და სიტუაციების ანალიზის, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტისა და გონივრული დასკვნების გაკეთების უნარი • პროფესიული სტანდარტებისა და მეთოდების გამოყენებით ინფორმაციისა თუ მონაცემების ინტერპრეტაციისა და ანალიზის უნარი • სწავლა-სწავლების თეორიების ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარი • შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით საკუთარი მოსაზრების არგუმენტირების უნარი • სასწავლო გეგმების (ინგლისური ენა/მათემატიკა) ანალიზისა და შეფასების უნარი • სწავლა-სწავლების შეფასებისა და ანალიზის უნარი • თანმიმდევრული მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარი • სხვათა მოსაზრებისა და არგუმენტების შეფასებისა და ამ შეფასებაზე დაყრდნობით საკუთარი პოზიციის ფორმირების უნარი
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ფართო აუდიტორიის წინაშე საკუთარი აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბების, გამოხატვის, დასაბუთებისა და მსჯელობის უნარი • ინფორმაციის, მოსაზრებებისა და დასკვნების სპეციალისტებისა (კოლეგები) და არასპეციალისტებისათვის (მოსწავლეები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები) თანმიმდევრულად გადაცემისა და პრეზენტაციის უნარი • ინფორმაციის გადაცემისას (პრეზენტაციები, მოხსენებები) თუ სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ნაყოფიერად გამოყენების უნარი • ინგლისურ ენაზე, წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი ფორმით, ფორმალურ (მაგ. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, კოლეგებთან თუ განათლების სპეციალისტებთან კომუნიკაცია) თუ არაფორმალურ კონტექსტში (მშობლებთან, მოსწავლეებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან თუ სხვა დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაცია) აზრის ნათლად და თანმიმდევრულად გადმოცემის უნარი • ინტერაქტიული კომუნიკაციისათვის სათანადო გარემოს შექმნისა და ამგვარ კონტექსტში აუდიტორიის ჩართვის უნარი

სწავლის უნარი	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის პროცესის თანმიმდევრულად დაგეგმვის უნარი • სასწავლო მასალების მოძიებისა და დროის რაციონალურად გადანაწილების უნარი • სწავლის პროცესის შექმნილი გარემოებების შესაბამისად ორგანიზების უნარი • მასალის დამახსოვრების სტრატეგიების შემუშავების უნარი • სწავლის პროცესში ერთ- და ორ-ენოვანი ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევა • ჯგუფურად და ინდივიდუალურად ინფორმაციაზე მუშაობისა და შემეცნება-შეთვისების უნარი • საკუთარი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად უწყვეტი პროფესიული განათლების დაგეგმვის უნარი • საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> • მასწავლებლის პროფესიული ეთიკისა და კოდექსის შესაბამისად მოქმედება • მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრება და განვითარება • ლოკალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარება და პრაქტიკაში რეალიზება • ახალი, პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მოპოვებისაკენ მისწრაფება • აკადემიური პატიოსნება • თანამედროვე საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეთიკური და მორალური ღირებულებების პატივისცემა • ზოგად-საკაცობრიო ადამიანური ღირებულებების პატივისცემა • განათლების სფეროს მორალისა და ეთიკის პატივისცემა • პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობის გააზრება • ტოლერანტობა და განსხვავებული კულტურისა და ქცევის ნორმების პატივისცემა

შეფასების სისტემა

მაქსიმალური შეფასება ყოველი კურსისთვის შეადგენს 100 ქულას. პროგრამებზე, კრედიტის მისანიჭებლად მინიმალური ქულა არის 51. აღნიშნული ქულა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამისაგან. ამასთან სტუდენტს გადალახული უნდა ჰქონდეს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. შუალედური/დასკვნითი შეფასებისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ასახულია შესაბამის სილაბუსში.

საკრედიტო სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა.

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა.

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა.

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა.

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს რომ.

სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა

დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,

რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ჯამური შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების დაჯამების საფუძველზე.